საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

25/04/2024

MES 8 24 0000469918

„უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2024 წლის 14 მარტის №304052 და 2024 წლის 03 აპრილის №389021 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ (დანართი):

ა) მე-6 მუხლის მე-8 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-9 მუხლის:

ბ.ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საბჭოს მდივანი ადგენს:

ა) საბჭოს ოქმს, რომელშიც აისახება გადაწყვეტილება პროექტის საჯარო განხილვაზე გატანის შესახებ;

ბ) საბჭოს (საჯარო განხილვის) ოქმს, რომელშიც აისახება საჯარო განხილვის პროცესში მონაწილე მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები, მოსაზრებები და შეფასებები;
გ) საბჭოს შემაჯამებელ ოქმს, რომელშიც აისახება დარგობრივ მახასიათებელზე მუშაობის პროცესი და ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.";

ბ.ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^1 პუნქტი:

„6^1. საბჭოს მდივნის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის ფუნქციებს სხდომის თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.";

ბ.გ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ოქმები ფორმდება შესაბამისი ეტაპის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ოქმს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. საბჭოს შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც ასახულია დარგობრივი მახასიათებლის პროექტის დამტკიცების შესახებ რეკომენდაციის გაცემის საკითხი ქვეყნდება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.".

ბ.დ) მე-13 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

გ) დანართი №1 (განცხადების ფორმა) ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამსახურს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
3. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მარგიშვილი ლაშა

<u>დანართი N1</u>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორს

მოქალაქე/ორგანიზაცია:_____

_

<u>(განმცხადებლის პირადი N)</u>[1]

მისამართი:_____

_

საკონტაქტო ტელეფონი:_____

_

ელ.ფოსტა:_____

_

განცხადება

_____

(მოთხოვნის საგანი)

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

<u>დანართები:</u>

(განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა)

_____

_____

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი:

[1] *განცხადებას თანდართულ ფაილად უნდა დაურთოთ განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა*

ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება[2]

ახალი დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების აუცილებლობის დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს საერთაშორისო გამოცდილების (შესაბამისი სფეროს არანაკლებ სამი ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების) ანალიზს და შესაბამისი სწავლის სფეროს ან/და შრომის ბაზრის კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გარდა დასაბუთება უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

1. ახალი დეტალური სწავლის სფეროს დასახელება
2. დეტალური სწავლის სფეროს 4 ციფრიანი კოდი (კლასიფიკატორის/ISCED-F-ის მიხედვით)
3. სწავლის სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის დასახელება
4. ჩამოთვალეთ შემოთავაზებული/ახალი დეტალური სწავლის სფეროს მონათესავე/მოკავშირე სამი დეტალური სწავლის სფერო და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები
5. დაასაბუთეთ რატომაა არსებული დეტალური სწავლის სფეროები, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები და კვალიფიკაციები არასაკმარისი ან/და არაადეკვატური , რაც იწვევს ახალი დეტალური სწავლის სფეროს, საგანმანათლებლო პროგრამისა და კვალიფიკაციის შემოღების აუცილებლობას
6. ზემოაღნიშნულ ინიციატივასთან (ახალი დეტალური სფეროს საჭიროება) დაკავშირებით რომელ რელევანტურ დაინტერესებულ მხარესთან (დამსაქმებელი, მარეგულირებელი, აკადემიური პერსონალი და სხვა) განხორციელებული კონსულტაციები და როგორია კონსულტაციის შედეგები.
7. დაშვების ან/და მიღების მოთხოვნები და პროგრესიის გზები ახალი სწავლის სფეროს საფუძველზე გაცემული კვალიფიკაციისათვის

ინფორმაცია სამუშაო ჯგუფის წევრების შესახებ[3]

სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი და გვარი	სამუშაო ადგილი	პოზიცია	ელ.ფოსტა	ტელეფონი

[2] ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გარე ინიციატორი ცენტრში წარადგენს განცხადებას სწავლის სფეროების კლასიფიკატორში სწავლის სფეროს დამატების მიზნით.

[3] ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დარგობრივი მახასიათებლის შექმნის პროცესში ჩართულია ერთზე მეტი პირი.